საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№145 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტებს:

ა) ქალაქ თბილისში, ბორის კუფტინის ჩიხის №9-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.03.039.034) მდებარე საცხოვრებელ სახლს, ამ განკარგულების დანართ №1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისში, პიერ კობახიძის ქ. №5ა-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.15.03.26.006) მდებარე საცხოვრებელ სახლს, ამ განკარგულების დანართ №2-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი N1

ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
	საცხოვრებელი სახლი/სარდაფი	ქ. თბილისი, კუფტინის ქუჩა N9	არქიტექტურის	18-19 საუკუნე

დანართი N2

ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
	საცხოვრებელი სახლი	ქ. თბილისი, პიერ კობახიძის ქ. 5ა	არქიტექტურის	1934 წელი